მედია და დანაშაული - ურთიერთზეგავლენის ფორმები და ძირითადი თეორიები

ნანა ვასაძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი

Media and crime - forms of interaction and basic theories

Nana Vasadze

Student of the mass communication PHD program of the Faculty of Social and Humanities of the Caucasus International University

DOI: https://doi.org/10.52340/gbsab.2024.52.10

საკვანძო სიტყვები და ფრაზები:

მედია, კრიმინალი, დანაშაული, თეორიები, საზოგადოება.

Keywords and phrases:

Media, crime, theories, society.

აბსტრაქტი

21 საუკუნეში ადამიანების მიერ სულ უფრო ძნელდება ინფორმაციული ნაკადის მართვა და თავის დაღწევა მედიის გავლენების და მანიპულაციებისგან. რისკები გაცილებით მაღალია, როცა მედია აშუქებს ინფორმაციას დანაშაულის შესახებ. ამ

დროს თავად მედია შეიძლება გახდეს კრიმინალის წახალისების და ახალი დანაშაულის მოტივატორი.

ამასთან, კრიმინალური თემების გაშუქებას მედიაში უფრო ფართო კონტექსტი აქვს, რადგან ის არა მხოლოდ ინფორმაციულ მხარეს მოიცავს, არამედ სამართლებრივსაც.

როცა მედია ავრცელებს ცნობებს დანაშაულის შესახებ, ის ამით ასრულებს თავის მთავარ ფუნქციას - აკმაყოფილებს საზოგადოების ლეგიტიმურ მოთხოვნას, ჰქონდეს ინფორმაცია ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული მდგომარეობის შესახებ, თუმცა მეორეს მხრივ, ინფორმაცია კრიმინალის შესახებ თავის თავად აგრესიის გარკვეულ კომპონენტსაც ატარებს. სწორედ ეს გახლავთ კრიმინალური ამბების გაშუქების თავისებურება, რომელსაც საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის დაფარული და ხანგრძლივი ეფექტი აქვს.

საკითხის აქტუალურობას განაპირობებს ისიც, რომ კრიმინალური ამბების გაშუქების ტენდენციას გარკვეულწილად კონკრეტული მედიის იდეოლოგიური პოლიტიკაც განსაზღვრავს, რომელიც საქართველოში ძალიან პოლარიზებულია. ამ სტატიით შევეცადეთ თავი მოგვეყარა ყველა მნიშვნელოვანი თეორიისთვის და მსჯელობისთვის, რომლებსაც მედია ექსპერტები და კრიმინალისტები ავითარებენ, დანაშაულზე მედიის გავლენის აღსაწერად და შესაფასებლად.

ABSTRACT

In the 21st century, it is increasingly difficult for population to manage the flow of information and escape the influence and manipulation of the media. The risks are much higher when the media report on crime. At this point, the media itself can become a motivator for encouraging criminals and committing new crimes.

However, the coverage of crime in the media has a wider context, as it includes not only the informational side but also the legal side.

When the media provide information about crime, they are fulfilling their main function - they are meeting the public's legitimate demand for information about the criminogenic

situation in the country, but on the other hand, the crime and violence reported by the media already contain elements of aggression. This is the peculiarity of crime reporting, which has a hidden and long-lasting effect on society.

The topicality of the issue is also determined by the fact that the tendency to report criminal news to a certain extent also illustrate the ideological policy of certain media, which is very polarised in Georgia.

In this article we have tried to summarise all the major theories and arguments that media experts and criminologists have developed to describe and evaluate the influence of the media on crime.

ოდითგანვე საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური მოთხოვნილება იყო და არის დაცულობის და უსაფრთხოების განცდა, ამიტომ კრიმინალური თემატიკა ყოველთვის იქნება მედიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პოპულარული კონტენტი. ადამიანებს უსაფრთხოების განცდა აქვთ მაშინ, როცა გრძნობენ კანონის უზენაესობას და სამართლიანობას, რომლის დაცვასაც სახელმწიფო ინსტიტუციები უნდა უზრუნველყოფდნენ, მაგრამ მედიასაც უნდა გააჩნდეს საკუთარი წილი პასუხისმგებლობა.

როცა მედია აშუქებს მომხდარ დანაშაულს, ის ამით უზრუნველყოფს საზოგადოების მოთხოვნას უსაფრთხოებაზე, მაგრამ, როცა ადამიანები მათთვის მიწოდებულ ინფორმაციაში ვერ პოულობენ უსაფრთხოების ელემენტებს, ისინი იმედგაცრუებულები რჩებიან და საზოგადოებაში აგრესიაც მატულობს.

მედიამკვლევრების აზრით, მხოლოდ პროფესიულ მედიას შეუძლია შეამციროს კრიმინალური ამბების გაშუქების თანმდევი აგრესია საზოგადოებაში, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში მეტად თვალსაჩინო გახდა.

საზღვარგარეთ მეცნიერები ამ საკითხს მრავალ კვლევას უძღვნიან და დისკუსიებიც მიმდინარეობს სამეცნიერო საზოგადოებაში, თუმცა საქართველოს მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ მხოლოდ ზეპირი და ემპირიული ცოდნა გაგვაჩნია ამ ძალიან მნიშვნელოვან პრობლემაზე, რომელიც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთა ქართული ჟურნალისტიკის და მთლიანად საზოგადოების წინაშე.

იმისთვის, რომ მედიამ და საზოგადოებამ ზუსტად დაინახოს ის საფრთხეები, რომელიც დანაშაულებების არაპროფესიული გაშუქებით ადგება მოსახლეობას, აუცილებელია მედიის გავლენების შეფასება და კრიმინალის გაშუქების შედეგად გამოწვეული რისკების აღწერა.
ძალადობრივ დანაშაულზე მედიის გავლენის ისტორიული და კრიმინოლოგიური ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდა მოცულობითი მტკიცებულებები, რომლებიც ერთის მხრივ, იურიდიულ მეცნიერებებს (კრიმინოლოგიას) ეხმარება მედიის გავლენების შესახებ სისტემატიზებული ცოდნა ჰქონდეს და მეორე მხრივ, მედიის უარყოფითი ზეგავლენის თავიდან ასაცილებელ პრაქტიკას ავითარებს.

როგორც სოციალური ფენომენი, დანაშაულს ახასიათებს მასობრიობა და სპონტანურობა. ამის გამო, რთულია ზუსტად განვსაზღვროთ მედიის გავლენა ზოგადად დანაშაულზე, ამიტომ სწორი არ იქნება საუბარი დანაშაულზე, როგორც მედიის გავლენის ობიექტზე, უფრო გამართლებულია ითქვას, რომ დანაშაული ეს არის მედიის გარკვეული უარყოფითი გავლენის შედეგი პიროვნებაზე. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მასმედიის გავლენას, თუნდაც ყველაზე მძაფრი ფორმით გამოხატულს, არ მიჰყავს კონკრეტული პირი დანაშაულის ჩადენამდე, აქ უკვე მნიშვნელოვანია ფსიქიკური მახასიათებლები, პიროვნული თვისებები და შინაგანი ურთიერთქმედება საინფორმაციო სიგნალებთან. (Репецкая А.Л., 2002). აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ინფორმაცია დანაშაულის შესახებ, რომელიც საზოგადოებას მედიის მეშვეობით მიეწოდება, ადამიანების მიერ მუშავდება ცნობიერის დონეზე, რომელიც მოიცავს კოგნიტურ, ემოციურ და პიროვნულ სტრუქტურებს. (Graber, 2000).

მედიის გავლენების შესახებ მოდელები და არგუმენტები კრიმინოლოგიური ასპექტების გარდა ფსიქოლოგიური, კულტურული და სოციოლოგიური ფაქტორების ანალიზსაც საჭიროებს.

ჯორჯ გერბნერმა ტელევიზიით ნაჩვენები ძალადობა განსაზღვრა, როგორც „დრამატული ძალადობა ფიზიკური ძალის ღია ჩვენება, იარაღით ან მის გარეშე, საკუთარი თავის ან სხვების წინააღმდეგ. რომელიც აიძულებს ადამიანს იმოქმედოს საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ დასახიჩრების ან სიკვდილის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით“.

მედიაში ძალადობის სცენების ნახვის შემდეგ მაყურებელში აგრესიული ქცევის პროვოცირებას ხელს უწყობს, როგორც მედიის მიერ აგრესიული ქცევის დადებითი შედეგების დემონსტრირება, ასევე, ძალადობის ნეგატიური შედეგების ჩვენება (მსხვერპლის ტანჯვა). აგრესიის გამართლება კეთილშობილური მიზნის მისაღწევად და მაყურებლის იდენტიფიცირება აგრესორთან. (Knepper, 2016)

საინტერესოა ასევე გელბნერის კულტივაციის თეორია. კულტივაციის ჰიპოთეზა გულისხმობს, რომ იმ მაყურებლებისთვის, რომლებიც ხშირად უყურებენ ტელევიზორს, დროთა განმავლობაში სამყაროს აღქმა ეკრანზე ნანახი რეალობის მოდელს უახლოვდება.

საინტერესოა ამ ჰიპოთეზაზე დაყრდნობით ჩატარებული კვლევა, რომლის ფარგლებში შეისწავლეს ის ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებით დიდ დროს უთმობდნენ მედიაში ძალადობის შემცველ ინფორმაციის, მათ წარმოდგენაში სამყაროს მოდელი იყო იმაზე საშიში, ვიდრე ეს იმ ადამიანებთან დაფიქსირდა, რომლებიც ამ ტიპის სცენებს დიდი რაოდენობით არ მოიხმარდნენ.

კვლევის ავტორები აცხადებენ, რომ ძალადობის სცენების ხშირი მოხმარების გამო ადამიანების ნაწილს უჩნდებათ გადამეტებული წარმოდგენები დანაშაულის შესახებ, მათ სამყარო მიაჩნიათ იმაზე საშიში, ვიდრე ეს რეალურად შეიძლება იყოს. ამ წარმოდგენების შექმნაზე მოქმედებდა ძალადობის სცენების ნახვის სიხშირე, მედიაპროდუქტების რეალურობის შეფასება, კვლევაში მონაწილის ასაკი და სქესი, მაყურებლის პირადი გამოცდილება და არსებული გარემო. თუმცა ამავე კვლევის

დროს გამოიკვეთა მაყურებელთა მეორე კატეგორიაც, რომლებთანაც ძალადობრივი სცენების ხშირი ყურება იწვევს აგრესიის მატებას, ასუსტებს მგრნობელობას მსხვერპლების მიმართ და იწვევს ძალადობის ახალი ფორმების წახალისებას.

კრიმინოლოგები მედიაში ძალადობის გაშუქების ეფექტის ასახსნელად რამდენიმე მოდელს იყენებენ. მათგან ყველაზე გავრცელებულია „საერთო აგრესიის მოდელი“,

საერთო აგრესიის მოდელის მიმდევრები (ბ.ბუშმანი, ს.ანდერსონი) დარწმუნებულები არიან, რომ მედიით ძალადობის გაშუქება არის ადამიანური აგრესიის გამომწვევი ერთ-ერთი ფაქტორი. ისინი ამტკიცებენ, რომ მედია არის ნაწილობრივ პასუხისმგებელი კრიმინალურ ქცევაზე და მსხვერპლის მიმართ თანაგრძნობის შემცირებაზე. ამ მოდელის მხარდამჭერებს მტკივებულებად მოჰყავთ, მაგალითად ტერორისტების გააქტიურება მედიაში მათ შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციების კვალდაკვალ.

საერთო აგრესიის მოდელის მიმდევრები თანხმდებიან, რომ მედიის მიერ ძალადობის ჩვენება ხანგრძლივ დროში იწვევს ადამიანის პიროვნული თვისებების ფუნდამენტურ ცვლილებას და ის ხდება არასტაბილური და გულგრილი. (Gottfredson, 2008)

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი შეხედულებებისა და კვლევებისა, მეცნიერების ნაწილი არ ეთანხმება იმ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, რომელიც დანაშაულის გაშუქებასა და საზოგადოებაში აგრესიის მატებას შორის არსებობს. მათ შემოგვთავაზეს (დოლი, ფერგიუსონი, კორველი) ახალი მოდელი, რომელსაც „საჭის მოდელად“ მოიხსენიებენ. ამ მოდელის მხარდამჭერი მკვლევრები მიუთითებენ, რომ „თუკი მაინც რიგ შემთხვევებში დადგინდებოდა მედიაგაშუქებასა და აგრესიას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ეს მაინც არ იქნებოდა საკმარისი, გავლენა მოეხდინა დანაშაულის საერთო მაჩვენებელზე.“ ამ მოდელის მიმდევრებს თავისი პოზიციის განსამტკიცებლად მოჰყავთ კვლევა, რომლის თანახმადაც, მედიაში გაშუქებული

ძალადობა უარყოფითად მოქმედებს იმ ადამიანებზე, რომლებიც მანამდეც მიდრეკილები იყვნენ ძალადობისა და აგრესიისადმი და არა მთელ საზოგადოებაზე.

„საჭის მოდელის“ მიმდევრები აცხადებენ, რომ მედიამ შესაძლოა ხელი შეუწყოს დანაშაულის კოპირებას, მაგრამ ის ძალიან იშვიათად შეიძლება იყოს დანაშაულის მოტივატორი. ამ თეორიის მიმდევრებმა ტერმინი „საჭეც“, იმის საილუსტრაციოდ გამოიყენეს, რომ მედია დამნაშავეებისთვის შესაძლოა „სტილის და კონსტრუქციის“ მიმცემი იყოს, მაგრამ ის არ არის დანაშაულის კატალიზატორი.

რა თეორიებს და კვლევებს ეყრდნობიან მკვლევრები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ძალადობასთან პირველი კავშირი, სწორედ მედიის მეშვეობით აქვთ და ხშირად, სწორედ მედიაში გაშუქებული ძალადობრივი სცენები ხდება მომავალში ჩადენილი დანაშაულის მიზეზი. ამ ფენომენს აკადემიური კვლევის დონეზე კრიმინალისა და მედიის ურთიერთზეგავლენის კავშირის დასადგენად მედიაეფექტების თეორია სწავლობს, ეს უკანასკნელის ძირითადი წყარო კი მასობრივი საზოგადოების თეორია და ბიჰევიორიზმია.

ორივე თეორიას საზოგადოების მიმართ პესიმისტური დამოკიდებულება აერთიანებს. მასობრივი საზოგადოების თეორია მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში გაჩნდა. თეორიის თანახმად, ადამიანების უმრავლესობა, გაუნათლებელი, უმართავი და ძალადობისკენ მიდრეკილები არიან, რაც დაკავშირებული იყო იმ პერიოდის მსოფლიოში არეულობასთან, არასტაბილურობასთან და გაურკვევლობასთან. თეორიის მიმდევართა აზრით, ამ პერიოდისთვის გარემო გახდა მეტად ანტისოციალური, რამაც გამოიწვია დანაშაულის ზრდა, რომელსაც ხელი შეუწყო სახელმწიფო სტრუქტურების და ჩინოსნების არაკომპეტენტურობამ და გულგრლობამ. ხელისუფლება სიტუაციის კონტროლს ინდივიდუალურ დონეზე, ვიწრო მასშტაბით ებრძოდა, ამავე დროს ხელისუფლება იყენებდა მედიას მოსახლეობის შესაძლო მღელვარების და მათი პოლიტიკურად განეიტრალებისთვის.

მასობრივი საზოგადოების თეორიის გარდა „მედია ეფექტების მოდელის“განსაზღვრისთვის ასევე მნიშვნელოვანია ბიჰევიორიზმის თეორია. ბიჰევიორიზმის ცნება მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულში პირველად შემოიტანა ამერიკელმა ფსიქოანალიტიკოსმა ჯ.უინსტონმა. ბიჰევიორისტები ამტკიცებდნენ, რომ ადამიანების უდიდესი ნაწილი მყიფე ნებისყოფისაა და მათ ქცევებზე უდიდეს გავლენას ახდენს გარე ფაქტორები, აქედან გამომდინარე ამ თეორიის მიმდევრების მოსაზრებით, მედია, როგორც ერთ-ერთი მძლავრი გარე ფაქტორი გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ადამიანების საქციელსა და მათ დამოკიდებულებაზე დანაშაულისა თუ ანტისოციალური ქმედების მიმართ.

ამავე პერიოდში კრიმინალისტები სწავლოდნენ იმ მიზეზ-შედეგბრივ კავშირს, რომლებიც მათი აზრით, ერთმანეთთან დააკავშირებდა დადენილ დანაშაულსა და იმ გენეტიკურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, რომელიც თან სდევდა ინდივიდის განვითარებას. დაკვირვებისა და კვლევების შედეგად გამოიკვეთა ორი პოზიცია: ადამიანები დანაშაულისკენ მიდრეკილები ხდებიან უარყოფითი სოცილური გარემოს გამო და მეორე პოზიციის თანახმად, ადამიანების გარკვეულ ჯგუფი დამნაშავეობისკენ მიდრეკილება გენეტიკურად გადაეცემა. კვლევების ავტორები დანაშაულს განიხილავდნენ, როგორც ავადმყოფობას, რომელიც მიზეზების დადგენის შემდეგ შესაძლებელია ადამიანი მისგან განკურნებულიყო.

იტალიელი ექიმი ჩეზარე ლომბროზო იყო ყველაზე ცნობილი მკვლევარი პოზიტივისტურ კრიმინოლოგიაში, რომელმაც სიკვდილმისჯილი დამნაშავეების სხეულების ანატომიური აღნაგობის შესწავლის შედეგად დაასკვნა, რომ დამნაშავეები ფიზიოლოგიური ნიშნებით განსხვავდებიან კანონმორჩილი ადამიანებისგან. ლომბორზო ამტკიცებდა, რომ მის მიერ შესწავლილი ცხედრების სხეულებს ჰქონდათ აღნაგობის ისეთი ატავისტური ნიშნები, რომლებიც ადრეული განვითარების სტადიისთვის იყო მხოლოდ დამახასიათებელი. მაგალითად, შვერილი ყბა, შუბლის და კბილების განსხვავებული ფორმა - ლომბროზო ამტკიცებდა, რომ სწორედ ეს და

მსგავსი ნიშნები გამოდგებოდა იმის მტკიცებულებად, რომ დამნაშავეები განვითარების ადრეულ სტადიაზე დარჩნენ და თავიდანვე გაირიყნენ საზოგადოებისგან, რამაც ხელი შეუწყო მათ ფსიქო-ემოციურ არამდგრადობას და დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილებას. ლომბროზოს მოძღვრება დღეს უგულვებელყოფილია. (ჯორბენაძე, 2014)

ცნობილი მაგალითი, რომელიც ამყარებს რწმენას, რომ მედიის მიერ გაშუქებულ მოვლენებს დიდი გავლენა აქვს საზოგადოებაზე, არის ჰელბერტ უელსის რომანის „სამყაროთა ომების“ მიხედვით მომზადებული რადიო გადაცემა, რომელიც მომზადდა და გავიდა კოლუმბიის მაუწყებლის მიერ 1938 წელს. რადიო გადაცემა იყო გამოგონილი დრამა, რომელიც ოუწყებოდა, რომ უცხოპლანეტელები შემოიჭრნენ დედამიწაზე. გადაცემა სრული სეიოზულობით იქნა აღქმული მოსახლოების დიდი ნაწილის მიერ და მან დიდი პანიკა გამოიწვია. ამ რადიოგადაცემის ანალიზის დროს მედიანალიტიკოსები და კრიმინოლოგები ასევე აღნიშნავდნენ იმ კონტექსტს, რა დროსაც მოხდა სიუჟეტის ტრანსლირება. სტიმულსა და შედეგს შორის კავშირი არ იყო პირდაპირი და მარტივი. პანიკა, რომელიც რადიოგადაცემამ გამოიწვია გარკვეულ გარემო პირობებში მოხდა. ეს იყო დიდი დეპრესიისა და უმუშევრობით გამოწვეული მღელვარე პერიოდი. ევროპაში მწიფდებოდა საომარი ვითარება და მოსახლეობის მოლოდინი, რომ უცხო ძალა შესაძლოა თავს დასხმოდათ სრულიად მოსალოდნელი იყო. სწორედ ამით ხსნიან მკვლევრები, თუ რატომაც გამოიწვია პანიკური შიში რადიოგადაცემაში მოთხრობილმა არარეალურმა ამბავმა მოსახლეობაზე. მათ არაცნობიერში იდო მოსალოდნელი ცუდი ამბის შესახებ სიგნალი. (ჯორბენაძე, 2014)

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თეორია, რომელსაც კრიმინალური ქმედებისა და მედიის ურთიერკავშირის დასადგენად მიმართავდნენ, არის ანომიის თეორია. ამ თეორიის მიხედვით, იმ საზოგადოებაში სადაც მოშლილია დისციპლინა და სოციალური კავშირები შესუსტებულია, ადამიანები უფრო ხშირად ჩადიან დანაშაულს. ცნება „ანომია“ როგორც სამეცნიერო ტერმინი მე-19 ბოლოს გამოჩნდა. ანომიის თეორია

შეიმუშავა ფრანგმა მეცნიერმა ემილ დიურკემმა. მისი ინტერპრეტაციით ანომია არის საზოგადოების მორალური არასტაბილურობა და ქცევის მკაფიო ნორმების არარსებობა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თეორია, რომელსაც კრიმინოლოგები მედიასთან მიმართებით იყენებენ არის პოსტმოდერნიზმის თეორია. ამ თეორიის მიხედვით, მედიის მოვალეობა საანახაობის მოწყობა და შესაბამისად, აუდიტორიის დაკმაყოფილებაა. მაგრამ არის კი ძალადობა სანახაობა? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს, აუდიტორიის ერთი ნაწილისთვის მედიაში ძალადობრივი დანაშაული შესაძლებელია შეიცავდეს სანახაობრივ ელემენტებს, ხოლო სხვისთვის ეს ტრაგედია და დანაშაულია.

კრიმინოლოგიის დარგში კვლევების ჩატარების დროს მეცნიერები შესაბამისად ითვალისწინებენ ამა თუ იმ საზოგადოების კულტურულ მიდგომებსაც.

შეიძლება ითქვას, რომ დანაშაული როგორც ადამიანთა ერთგვარი „ქმედება“, მჭიდროდ არის დაკავშირებული კულტურასთან. ამავდროულად სწორედ კულტურულ წამაძღვრებს შუეძლიათ როგორც ხელი შეუწყონ დანაშაულის ჩადენას, ასევე შეამცირონ მისი ჩადენის ალბათობა.

მიუხედავად განხილული თეორიების მრავალფეროვნებისა, ცალკე აღებული არც ერთი თეორია და მოდელი არ აღწერს ზუსტად მედიის ზეგავლენის შედეგს, თუმცა ეს თეორიები მეტნაკლებად გვეხმარება წარმოვაჩნოთ მედიასა და დანაშაულს შორის კავშირი.

ბიბლიოგრაფია:

ჯორბენაძე, ბახტაძე, მაჭარაძე. (2014). *მედიასამართალი.* თბილისი: ქოლორი.

შალიკაშვილი. (2011). *კრიმინოლოგია.* თბილისი.

Jewkes Yvonne. (2011). *Mediaand Crime .* California: Sage Publications .

Gottfredson, M. (2008). A general theory of crime.

Knepper, P. J. (2016). *The Oxford Handbook of the History of Crime and Criminal Justice.* Oxford: Oxford University Press.

Becker, P. W. (2006). The History of Criminology in International Perspective. *Cambridge University Press*.

Rios, V. (2018). *Media Effects on Crime and Crime Style.* Department of Political Science Purdue University;.

ЕниколоповС.Н. (2001). Понятие агрессии в современной психологии . *Прикладная психология*.

Anderson C.A., B. B. (2002). The effects of media violence on society. Science.